შპს ოპტიმალ გრუპ +
A-ტიპის ინსპექტირების ორგანო
თბილისი 0179,ჭავჭავაძის 17ა.
ტელ.: +(995 32) 2 24 00 20
ელ.ფოსტა: info@ogplus.com.ge

LLC OPTIMAL GROUP +
A-type Inspection Body
17a Chavchavadze Ave,
Tbilisi 0179, Georgia
Tel.: +(995 32) 2 24 00 20
e-mail: info@ogplus.com.ge

ს/კ ID 404 911 592

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013
GAC –IB-0117

22 დეკემბერი 2017 წელი

ეგზემპლარი №1

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში №IR_17-07-A036/05

შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად

(ეგზ. №1 დამკვეთს; ეგზ. №2-ინსპექტირების ორგანოს)

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო აკრედიტებული ISO/IEC 17020:2012/2013, მ/ნ GAC-IB-0117.

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებით პასუხისმგებელია ინსპექტირების/ექსპერტიზის მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებაზე და ინსპექტირების/ექსპერტიზის ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალობაზე.
ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო/საინსპექტირებო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლის სამართლებლივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

აკრედიტაციის სფერო:
სამშენებლო ობიექტის პროექტის ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება:

- არქიტექტურული ნაწილი.

ინსპექტირების (ექსპერტიზის)ობიექტი:
ქ. თბილისში დადიანის, ჩოდრიშვილის და ალილუევას ქუჩებს შორის, (ნაკვეთი №89/003 საკადასტრო კოდი 01.12.13.089.003), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი.

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარების საფუძველი:
განაცხადი ინსპექტირების ჩატარებაზე: №**17-07-A036**; 31.07.2017-ის ხელშეკრულება: № **C-17-07-A036**;

დამკვეთი:
შპს „MHD Group“, (ს/კ 400044821), დირექტორი **მიხეილ გიორგობიანი** (პ/ნ:01001015795);

ინსპექტირების (ექსპერტიზის) შემსრულებელი:
ინსპექტირების ტექნიკური მენეჯერი - **მარინე დუღაშვილი**, არქიტექტორი, სპეციალობით მუშაობის სტაჟი - 17 წელი;

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ჩატარებაზე განაცხადის შინაარსი:
ქ. თბილისში დადიანის, ჩოდრიშვილის და ალილუევას ქუჩებს შორის, (ნაკვეთი №89/003 საკადასტრო კოდი 01.12.13.089.003), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობის დადგენა (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41) ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნებთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნათა ფარგლებში, დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის და ინფორმაციის საფუძველზე.

ინსპექტირების დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტები:
1 პროექტის ელ.ვერსია (03.08.2017)
2 კორექტირებული პროექტის ელ.ვერსია (30.09.2017)
3 კორექტირებული პროექტის ელ.ვერსია (07.11.2017);
4 კორექტირებული პროექტის ელ.ვერსია (22.11.2017).
5 კორექტირებული პროექტის ელ.ვერსია (19.12.2017)

ინსპექტირების თარიღი ან პერიოდი: 04.08.2017 – 22.12.2017

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიში

დ ა ს კ ვ ნ ა

შპს „MHD Group“-ის (ს/კ 400044821) მიერ, დირექტორი მიხეილ გიორგობიანი, განაცხადი №17-07-A036, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მოწოდებული მასალების საფუძველზე, ქ. თბილისში დადიანის, ჩოდრიშვილის და ალილუევას ქუჩებს შორის, (ნაკვეთი №89/003 საკადასტრო კოდი 01.12.13.089.003), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული (19.12.2017) პროექტის არქიტექტურული ნაწილის ინსპექტირების შედეგად შეიძლება აღინიშნოს, რომ ინსპექტირების ანგარიშში (IR_17-07-A036/03) გამოვლენილი ხარვეზები შემსრულებლის მიერ დაკორექტირდა და ტექდოკუმენტაციაში შეტანილია შესაბამისი შესწორებები.

შესაბამისად, წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის (19.12.2017) არქიტექტურული ნაწილი შესრულებულია საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნებით განსაზღვრულ ფარგლებში. წარმოდგენილ კორექტირებულ პროექტის არქიტექტურულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება.

იხ. გამოკვლევითი ნაწილი;

იხ. დანართი №1 (ცხრილები) 5 (ხუთი) ფურცლად;

პროექტი ჩაწერილია DVD-R დისკზე 2 ეგზემპლარად.

ინსპექტირების (ექსპერტიზის) ანგარიშს ეგზემპლარს №1 თან ერთვის DVD-R დისკი (co04-0302-3287), (იხ. დანართი №2).

ეგზემპლარს №2 თან ერთვის DVD-R დისკი (co04-0302-3287).

გამოკვლევა

წარმოდგენილი განაცხადის თანახმად, დამკვეთის მიერ მოთხოვნილია ქ. თბილისში დადიანის, ჩოდრიშვილის და ალილუევას ქუჩებს შორის, (ნაკვეთი №89/003 საკადასტრო კოდი 01.12.13.089.003), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული (19.12.2017) პროექტის არქიტექტურული ნაწილის შესაბამისობის დადგენა ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28) მოთხოვნებთან, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნათა ფარგლებში, რომელიც მოიცავს:

ა) დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;

ბ) კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;

გ) სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;

ვ) მისაწვდომობის შეფასებას;

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;

თ) სახურავის ანაწყობების შეფასებას;

ი) ცეცხლმედეგობის მოთხოვნილი გამიჯნავების შეფასებას;

კ) ხანძრისგან დაცვის სისტემების შეფასებას;

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;

ქ. თბილისში დადიანის, ჩოდრიშვილის და ალილუევას ქუჩებს შორის, (ნაკვეთი №89/003 საკადასტრო კოდი 01.12.13.089.003), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული (19.12.2017) პროექტის არქიტექტურულ ნაწილს ჩაუტარდა ინსპექტირება.

მიწის ნაკვეთი (1821.0 კვ.მ) მდებარეობს ქალაქ თბილისში. ნაკვეთს დასავლეთით ესაზღვრება დადიანის, ჩრდილოეთით - ალილუევას, სამხრეთით - ჩორდიშვილის და აღმოსავლეთით ხიმშიაშვილის ქუჩები. ტერიტორია ხასიათდება საშუალო სირთულის რელიეფით. აბსოლიტური ნიშნულები ზღვის დონიდან 452.88-დან 454.30-მდე მერყეობს.

პროექტის მიხედვით შენობა არის 16 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, 2 მიწისქვეშა პარკინგის სართულით. პირველ სართულზე განთავსებულია კომერციული სივრცე. დანარჩენი სართულები პირველი სართულის ზემოთ საცხოვრებელი ბინებია.

პროექტის მიხევით შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით, კერძოდ: შენობაში გათვალისწინებულია 2 შეუბოლავი კიბის უჯრედი. შენობა მთლიანად აღჭურვილია საშხეფი სისტემით. პროექტის მიხევით შენობა ითვალისწინებს სახანძრო დანაყოფისათვის მისადგომ 2 ლიფტს. კიბისა და ლიფტის ფოიეებში გათვალისწინებულია კვამლის საკონტროლო სისტემა. ასევე პროექტი ითვალისწინებს ხანძარაღმომჩენ ელექტრო დეტექტორების სისტემას. პროექტის მიხედვით მიწისქვეშა პარკინგის სართულებზე მოეწყობა ხელოვნული ვენტილაციის სისტემები. ასევე შენობაში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების დამონტაჟება.

პროექტის მიხედვით შენობა აკმაყოფილებს მისაწვდომობის მოთხოვნებს, გათვალისწიენბულია შშმ პირებისათვის საცხოვრებელი ბინები და პარკინგები ნორმების შესაბამისად.

პროექტის მიხედვით შენობის სტრუქტურას წარმოადგენს საძირკვლის ფილაზე დაფუძნებული სტრუქტურული ჩარჩო, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისაგან, კოჭებისაგან, სართულშუა გადახურვის და სახურავის ფილებისაგან. შენობის განაპირა მხარეებს, კიბის უჯრედებს და ლიფტებს უწყვეტად მიუყვება გაძლიერებული ბეტონის სიხისტის დიაფრაგმები. კიბის სტრუქტურა შედგება გაძლიერებული ბეტონისაგან.

წარმოდგენილ კორექტირებულ პროექტში, საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად, შესრულებული არის დამაკმაყოფილებლად:

ა) დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვები გამოანგარიშებულია;

შენობისა და ნაგებობის კლასიფიცირებას გამოყენებისა და დაკავებულობის მიხედვით არეგულირებს მე-3 თავი.

წარმოდგენილი პროექტი არის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც თავმოყრილია 3 დაკავებულობის ჯგუფი:

1. **სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (ავტოსადგომი გარაჟი, მიწისქვეშა 2 სართულზე);
2. **სავაჭრო ჯგუფი სვ** (კომერციული სივრცე მიწისპირა სართულზე);
3. **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** (საცხოვრებელი ბინები მე-2 სართულიდან მე-16 სართლის ჩათვლით).
4. **დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს** (ტექნიკური ოთახი მიწისპირა სართულზე).

დაკავებულობის ფაქტორის განსაზღვრა ხდება 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილში მოცემული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორის მიხედვით.

მიწისქვეშა 2 სართულზე განთავსებულია ავტოსადგომი და კლასიფიცირებულია როგორც სასაწყობო ჯგუფი სწ-2, რომლის დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 18.6 მთლიანი თითო დამკავებელზე და შეადგენს 133 ადამიანს.

პირველ სართულზე განთავსებულია კომერციული სივრცე და ტექნიკური ოთახი. კომერციული სივრცე კლასიფიცირებულია სავაჭრო ჯგუფი სვ და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 2.8 მთლიანი თითო დამკავებელზე, რომლის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 271 ადამიანს. ტექნიკური ოთახი კლასიფიცირებულია დამხმარე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი დს რომლის დაკავებულობის დატვითვის ფაქტორია 27.9 მთლიანი თითო დამკავებელზე და დაკავებულობის დატვირთვის დონე შეადგენს 1 ადამიანს.

მეორე სართულიდან მეთექვსმეტე სართულის ჩათვლით განთავსებულია საცხოვრებელი ბინები, რომლებიც კლასიფიცირებულია როგოც საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორია 18.6 მთლიანი თითო დამკავებელზე.

მთლიანად საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 373 ადამიანს.

ზემოთ ჩამოთვლილიდან გამომდინარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 778 ადამიანს.

ბ) კონსტრუქციის ტიპები;

შენობების კლასიფიცირებას კონსტრუქციის ტიპების მიხედვით და შენობის სხვადასხვა ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხს არეგულირებს მე-6 თავი.

შენობის სტრუქტურას წარმოადგენს საძირკვლის ფილაზე დაფუძნებული სტრუქტურული ჩარჩო, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისაგან, კოჭებისაგან, სართულშუა გადახურვის და სახურავის ფილებისაგან. შენობის განაპირა მხარეებს, კიბის უჯრედებს და ლიფტებს უწყვეტად მიუყვება გაძლიერებული ბეტონის სიხისტის დიაფრაგმები. კიბის სტრუქტურა შედგება გაძლიერებული ბეტონისაგან

შენობა ნაგებობის კონსტრუქცია შერჩეულია ცხრილი 601-ის მიხედვით. (ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის სთ) და წარმოადგენს I–A ტიპის კონსტრუქციას, შესაბამისად სრულიად აკმაყოფილებს 503 ცხრილის (შენობის დასაშვები სიმაღლისა დაფართობის) მოთხოვნებს (იხ. ცხრილი N1; დანართი №1).

გ) სიმაღლეების და ფართობების სიდიდეები;

მიშენება-დაშენებების სიმაღლესა და ფართობს არეგულირებს მე-5 თავი.

შენობა-ნაგებობის სიმაღლე და ფართობი განისაზღვრება 503 ცხრილის მიხედვით მე-6 თავის შესაბამისად განსაზღვრული კონსტრუქციის ტიპისა და მე-3 თავის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობებით.

I-A კლასის კონსტრუქციული ტიპის შენობებისათვის, 503 ცხრილის მიხედვით შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე შეუზღუდავია, პროექტით შემოთავაზებული სიმაღლე კი 55.85 მეტრია, რაც ნორმებთან შესაბამისობაშია.

503 ცხრილის მიხედვით:

- წარმოდგენილი დაკავებულობის ჯგუფებიდან გამომდინარე სართულების მაქსიმალური რაოდენობაა I-A კლასის კონსტრუქციული ტიპის შემთხვევაში შეუზღუდავია, შესაბამისად პროექტით შემოთავაზებული სართულიანობა აკმაყოფილებს მოთხოვნებს. (იხ. ცხრილი N2; დანართი №1);
- წარმოდგენილი დაკავებულობის ჯგუფებიდან გამომდინარე მაქსიმალური დასაშვები ფართობი თითოეულ სართულზე I-A კლასის კონსტრუქციული ტიპის შემთხვევაში შეუზღუდავია, შესაბამისად პროექტით შემოთავაზებული ფართები აკმაყოფილებს მოთხოვნებს (იხ. ცხრილი N3; დანართი №1).

დ) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები;

გასასვლელი საშუალებების მოთხოვნებს არეგურილებს მე-10 თავი.

ცხრილი 1015.1 1021.1 და 1021.2 მიხედვით ყოველ სართულს ესაჭიროება 2 გასასვლელი. წარმოდგენილ პროექტში მიწის დონის ქვედა სართულებზე გათვალისწინებულია გათვალისწინებულია 2 გასასვლელი. მიწისპირა სართულზე გათვალიწინებულია 6 შენობიდან გამოსასვლელი. მეორედან მეთექვსმეტე სართულის ჩათვლით გათვალიწინებულია თითოეულ სართულზე 2 გამოსასვლეი, რაც აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს. (იხ. ცხრილი N4; დანართი №1).

ყველა დამოუკიდებელი ფართის მიმართ გასასვლელების რაოდენობა შერჩეულია ქვეთავი 1015-ის მოთხოვნების შესაბამისად. 1016 ქვეთავის მიხედვით გასასვლელთან მისადგომის საზღვრებში მოქცეული სავალი მანძილი უნდა გაიზომოს სართულის საზღვრებში მდებარე ყველაზე მოშორებული წერტილიდან. პროექტში მითითებული გასასვლელთან მისადგომის სავალი მანძილები შეესაბამება 1016 ქვეთავის მოთხოვნებს.

ე) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა გამოანგარიშებულია;

გასასვლელი საშუალების ზომას არეგულირებს 1005 ქვეთავი.

პროექტი წარმოადგენს 16 სართულიან შენობას, შესაბამისად მიწის დონის ზედა სართულებზე მოწყობილია 2 გასასვლელი კიბე. მიწისპირა სართულზე მოწყობილია 6 შენობიდან გამოსასვლელი კარები. კარების და კიბეების სიგანეები და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს (იხ. ცხრილი N4; დანართი №1).

ვ) მისაწვდომობის მოთხოვნა;

მისაწვდომობის მოთხოვნებს არეგულირებს მე-11 თავი.

წარმოდგენილი პროექტი წარმოადგენს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს. 1107 ქვეთავის (საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულები) მიხედვით აღნიშნული შენობა აკმაყოფილებს საცხოვრებელი ერთეულების მოთხოვნებს. 1106 ქვეთავის (ავტოსადგომი და სატრანსპორტო საშუალებების მგზავრებით დატვირთვის ზონაში არსებული) მიხედვით ავტოსადგომი აკმაყოფილებს ნორმების მოთხოვნებს. პროექტი აკმაყოფილებს მისაწვდომობის მოთხოვნებს.

ზ) გარე კედლებისადმი მოთხოვნები;

შენობა-ნაგებობას, როდესაც ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე (გზა) ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი აითვლება გზის ღერძიდან. დანარჩენ მხარეებზე კი ნაკვეთის საზღვრიდან.

705.8 ცხრილის მიხედვით, თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი მეტია 9 მეტრზე გარე კედელზე ღიობების დასაშვები ფართობი არის შეუზღუდავი.თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 1.5 მეტრია ან აღემატება 1.5 მეტრს და ნაკლებია 3 მეტრზე გარე კედელზე ღიობების დასაშვები ფართობი დაუცველი, საშხეფებით არის 25%. თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 3 მეტრია ან აღემატება 3 მეტრს და ნაკლებია 4.5 მეტრზე

გარე კედელზე დაცული ღიობების დასაშვები ფართობი არის 45%. .შესაბამისად წარმოდგენილ პროექტში კედლის ღიობების ფართობები ნორმების ფარგლებშია (იხ. ცხრილი N5; დანართი №1).

წარმოდგენილ პროექტში, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილებიდან გამომდინარე 602 ცხრილის მიხედვით გარე კედელზე ესაჭიროება 1 საათიანი ხანძარმედეგობა, თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 1.5≤X<3 მეტრზე, თუ ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი X≥9 მეტრზე გერე კედელზე ხანძარმედეგობის ხარისხი არის 0 საათი, თუმცა პროექტით გათვალიწინებულია ყველა გარე კედლებზე ხანძარმედეგობის ხარისხი 2 სთ (იხ. ცხრილი N5; დანართი №1).

წარმოდგენილ პროექტის მიხედვით გარე კედლების ნაწილი შელესილია ქვიშა ცემენტის ხსნარით და შემდგომ დამუშავებულია მაღალი ხარისხის საღებავით. ნაწილი შეფუთულია ფასადის კომპოზიციური პანელით 0.6 სმ სისქით. ნაწილი მოპირკეთებულია ლითონის კვადრატული მილებით, რომლითაც შექმნილია დეკორატიული ელემენტები და დამუშავებულია ანტიკოროზიული ხსნარით და შეღებილია წყალმედეგი საღებავით. აივანის მოაჯირებად გამოყენებულია შუშა 8X8 სმ (ლამექსი), სახელურებად გამოყენებულია - ალუმინი, ხოლო აივნის იატაკი მოპირკეთებულია კერამიკული ფილით.

წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს მე-7 და მე-14 თავის მოთხოვნებს.

თ) სახურავის ანაწყობები;

სახურავის ანაწყობებსა და სახურავზედა ნაგებობებს მე-15 თავი არეგულირებს.

წარმოდგენილ პროექტში შენობის გადახურვას წარმოადგენს გაძლიერებული ბეტონის გადახურვის ფილა, ატმოსფერული ნალექებისგან დასაცავად მოწყობილია შესაბამისი ფენილიები და წყალ ამრიდი საშუალებები, რკინაბეტონის ფილა, ორთქლიზოლაცია, თბოიზოლაცია ქვა-ბამბა 5 სმ სისქის, საშუალოდ 8 სმ სისქის ბეტონის მოწყობა მოჭიმვა, ჰიდროიზოლაცია, კერამოგრანიტის ფილა, ხოლო პარაპეტის თავი მოპირკეთებულია ბაზალტის 3 სმ-იანი ფილით. სახურავის ანაწყობები შეესაბამება 1505 თავის მოთხოვნებს. I-A კლასის კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე სახურავის კონსტრუქცია აკმაყოფილებს B კლასის სახურავების ანაწყობების მოთხოვნებს.

წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს მე-15 თავის მოთხოვნებს.

ი) ცეცხლმედეგობის გამმიჯნავები;

ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების მოთხოვნებს არეგულირებს მე-7 თავი.

წარმოდგენილ პროექტში შენობა-ნაგებობის ცეცხლმედეგი მასალები აკმაყოფილებს 703 თავის მოთხოვნებს. გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი მოთხოვნილ ადგიმებში 2 საათიანია, შესაბამისი აღნიშვნები დატანილია გეგმებზე და ჭრილებზე, რაც ნორმების ფარგლებშია (იხ. ცხრილი N5; დანართი №1).

ცეცხლმედეგობის გამიჯვნები ყველა ნაწილში 2 საათიანია და აკმაყოფილებს ცხრილი 508.4 -ის მოთხოვნებს.

კ) ხანძრისაგან დაცვის სისტემები;

ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებისადმი მოთხოვნებს არეგულირებს მე-9 თავი.

წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია: 903 ქვეთავის მიხედვით ავტოსაშხეფი სისტემები, 907 ქვეთავის მიხედვით სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, 905 ქვეთავის მიხედვით სახნძრო მილდგარების სისტემები, 909 ქვეთავის მიხედვით კვამლის საკონტროლო სისტემები, 906 ქვეთავის მიხედვით ხელის ცეცხლმაქრები (იხ. ცხრილი N6; დანართი №1).

ლ) წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების ანგარიშები;

წყალსადენი საშუალებებისადმი მინიმალურ მოთხოვნებს არეგულირებს მე-16 თავი.

წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებული წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობები, დათვლილია და აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს (იხ. ცხრილი N7; დანართი №1).

მ) საჭიროების შემთხვევაში, სხვა მოთხოვნების შეფასება;

წარმოდგენილ პროექტში 403 ქვეთავის მოთხოვნების შესაბამისად გათვალიწინებულია 2 სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მისადგომი ლიფტის მოწყობა, რომელიც აკმაკოფილებს 1707.7.1, 1707.7.2 და 1707.7.4 ქვეთავების მოთხოვნებს.

მიწისპირა სართულზე პროექტში გათვალიწინებულია ქვეთავი 911 -ის მიხედვით ხანძრის მართვის ცენტრის მოწყობა.

შესაბამისად, წარმოდგენილი კორექტირებული პროექტის (19.12.2017) არქიტექტურული ნაწილი შესრულებულია საქართველოს ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28) საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მოთხოვნებით განსაზღვრულ ფარგლებში. წარმოდგენილ კორექტირებულ პროექტის არქიტექტურულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება.

კვლევაში გამოყენებული მასალები და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია:

1. ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, 2016.01.28);
2. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება №57 (2009.03.24), №63 (2017.02.06) და №104 (2017.02.23);

ტექნიკური მენეჯერი
არქიტექტორი მარინე დუღაშვილი

ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა:
ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი ალექსანდრე ველიჯანაშვილი

დანართი №1

ცხრილი N1

კონსტრუქციის ტიპი:	
მიწის დონის ქვემოთ I-A	
მიწის დონის ზემოთ I-A	

ცხრილი N2

სიმაღლის შეზღუდვები:		
დაკავებულობები:	დასაშვები სართულიანობა	შემოთავაზებული სართულიანობა
1. სასაწყობო ჯგუფი სწ-2	შეუზღუდავი	მიწის დონის ქვედა -1,-2 სართული
2. სავაჭრო ჯგუფი სგ	შეუზღუდავი	მიწისპირა 1 სართული
3. საცხოვრებელი ჯგუფი სც-2	შეუზღუდავი	მეორედან მეთექვსმეტე სართულის ჩათვლით
4. დამხმარე ჯგუფი დს	შეუზღუდავი	მიწისპირა 1 სართული
	დასაშვები სიმაღლე:	შემოთავაზებული სიმაღლე:
შენობის სიმაღლე:	შეუზღუდავი	55.85
მიწის ზემოთ სართულების რაოდენობა:	16	
მიწის დონის ქვედა სართულების რაოდენობა:	2	

ცხრილი N3

ფართობის შეზღუდვები:		
დაკავებულობები:	დასაშვები ფართობი: (ცხრილი 503)	შემოთავაზებული ფართობი:
1. სასაწყობო ჯგუფი სწ-2	შეუზღუდავი	2498,9 კვ.მ.
2. სავაჭრო ჯგუფი სგ	შეუზღუდავი	785,6 კვ.მ.
3. საცხოვრებელი ჯგუფი სც-2	შეუზღუდავი	5139.0 კვ.მ.
4. დამხმარე ჯგუფი დს	შეუზღუდავი	19.7 კვ.მ.
იატაკის საერთო ფართობი:	10684 კვ.მ.	
იატაკების რაოდენობა:	მიწის დონის ზედა 16, მიწის დონის ქვედა 2	
შენობის საერთო ფართობი:	10571.6 კვ.მ.	

ცხრილი N4

თბილისი სართულიდან გასასვლელი საშუალება სასაწყობო ჯგუფი სწ2-ისათვის										
სართულები	დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების /გასასვლელთან მისადგომების/ რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების /გასასვლელთან მისადგომების/ რაოდენობა და ტიპი	გასავლელის საშუალებების სიგანე (მეტრი)					
				გზაკიბები		დერეფანი		გასასვლელის გზა კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
მიწის დონის ქვედა სართული -2 დონე	69	2	2	1.1	1.1	-	-	0.82	0.85
მიწის დონის ქვედა სართული -1 დონე	64	2	2	1.1	1.1	-	-	0.82	0.85

თბილისი სართულიდან გასასვლელი საშუალება სავაჭრო ჯგუფი სგ-ისათვის									
სართულები	დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების /გასასვლელთან მისადგომების/ რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების /გასასვლელთან მისადგომების/ რაოდენობა და ტიპი	გასავლელის საშუალებების სიგანე (მეტრი)					
				გზაკიბები		დერეფანი		გასასვლელის გზა კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
პირველი სართული (სგ)	271	2	6	–	–	–	–	0.82	1.60

თბილისი სართულიდან გასასვლელი საშუალება დამხმარე ჯგუფი დხ-ისათვის . ცხრილი 503									
სართულები	დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების /გასასვლელთან მისადგომების/ რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების /გასასვლელთან მისადგომების/ რაოდენობა და ტიპი	გასავლელის საშუალებების სიგანე (მეტრი)					
				გზაკიბები		დერეფანი		გასასვლელის გზა კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
დამხმარე დაკავებულობა (დს)	1	1	1	–	–	–	–	0.82	0.85

თბილისი სართულიდან გასასვლელი საშუალება საცხოვრებელი ჯგუფი სც-ისათვის									
სართულები	დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი	მოთხოვნილი გასასვლელების /გასასვლელთან მისადგომების/ რაოდენობა	გათვალისწინებული გასასვლელების /გასასვლელთან მისადგომების/ რაოდენობა და ტიპი	გასავლელის საშუალებების სიგანე (მეტრი)					
				გზაკიბები		დერეფანი		გასასვლელის გზა კარი	
				მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
მიწის დონის ქვედა სართული									
პირველი სართული									
მეორე სართული	44	2	2	1.1	1.1	120	120	0.82	0.85
მესამე სართული	37	2	2	1.1	1.1	120	120	0.82	0.85
მეოთხე სართული	31	2	2	1.1	1.1	120	120	0.82	0.85
მეხუთე სართული	32	2	2	1.1	1.1	120	120	0.82	0.85
მეექვსე სართული	31	2	2	1.1	1.1	120	130	0.82	0.85
მეშვიდე სართული	31	2	2	1.1	1.1	120	130	0.82	0.85
მერვე სართული	31	2	2	1.1	1.1	120	130	0.82	0.85
მეცხრე სართული	31	2	2	1.1	1.1	120	130	0.82	0.85
მეათე სართული	15	2	2	1.1	1.1	120	130	0.82	0.85
მეთერთმეტე სართული	15	2	2	1.1	1.1	120	130	0.82	0.85
მეთორმეტე სართული	15	2	2	1.1	1.1	120	130	0.82	0.85
მეცამეტე სართული	15	2	2	1.1	1.1	120	130	0.82	0.85
მეთოთხმეტე სართული	15	2	2	1.1	1.1	120	130	0.82	0.85
მეთხუთმეტე სართული	15	2	2	1.1	1.1	120	140	0.82	0.85
მეთექვსმეტე სართული	15	2	2	1.1	1.1	120	140	0.82	0.85

ცხრილი N5

გარე კედლის ცეცხლმედეგობისა და ღიობებისადმი მოთხოვნები (ცხრილების 602 -ის და 705.8 -ის მიხედვით)									
გარე კედელი	ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი (მეტრი)	ცეცხლმედეგობის ხარისხი (საათი)		კედლის ღიობების ფართობი (კედლის %)					
		მოთხოვნილი	გათვალისწინებული	დასაშვები			გათვალისწინებული		
				დაცული	დაუცველი სამუშაებით	დაუცველი	დაცული	დაუცველი სამუშაებით	დაუცველი
დასავლეთი (1-8 ღერძებში +0.00 - +6.00 ნიშნულამდე)	12.88	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		72%	
დასავლეთი (1-4 ღერძებში +6.00 - +9.25 ნიშნულამდე)	13.78	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		41%	
დასავლეთი (1-4 ღერძებში +9.25 - +32.00 ნიშნულამდე)	13.78	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		43%	
დასავლეთი (4-8 ღერძებში +6.00 - +9.25 ნიშნულამდე)	20.79	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		34%	
დასავლეთი (4-8 ღერძებში +9.25 - +54.75 ნიშნულამდე)	20.79	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		32%	
აღმოსავლეთი (8-5 ღერძებში −0.00 - +6.00 ნიშნულამდე)	13.32	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		5%	
აღმოსავლეთი (8-5 ღერძებში +6.00 - +9.25 ნიშნულამდე)	13.32	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		50%	
აღმოსავლეთი (8-5 ღერძებში +9.25 - +54.75 ნიშნულამდე)	19.51	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		39%	
აღმოსავლეთი (5-1 ღერძებში +0.00 - +6.00 ნიშნულამდე)	9.22	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		5%	
აღმოსავლეთი (5-1 ღერძებში +6.00 - +9.25 ნიშნულამდე)	9.22	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		35%	
აღმოსავლეთი (5-1 ღერძებში +9.25 - +32.00 ნიშნულამდე)	9.22	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		28%	
ჩრდილოეთი (ბ-ა ღერძებში) +0.00 - + 6.00 ნიშნულამდე	3.19	1	2	45%	45%	15%		0%	
ჩრდილოეთი (ბ-ა ღერძებში) +600 - +9.25 ნიშნულამდე	1.68	1	2	25%	25%	10%		22%	
ჩრდილოეთი (ბ-ა ღერძებში +9.25 - +32.00 ნიშნულამდე)	1.68	1	2	25%	25%	10%		22%	
ჩრდილოეთი (გ-ბ ღერძებში +0.00 - +6.00 ნიშნულამდე	8.93	1	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	70%		0%	
ჩრდილოეთი (გ-ბ ღერძებში +6.00 - +9.25 ნიშნულამდე	7.38	1	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	70%		29%	
ჩრდილოეთი (გ-ბ ღერძებში +9.25 - +32.00 ნიშნულამდე)	7.38	1	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	70%		29%	
ჩრდილოეთი (დ-ე ღერძებში, შემოჭრილ საკადასტრო კონტურამდე +0.00 - +6.00 ნიშნულამდე)	30.48	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		6%	
ჩრდილოეთი (დ-ე ღერძებში, შემოჭრილ საკადასტრო კონტურამდე +6.00 - +9.25 ნიშნულამდე)	30.48	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		28%	
ჩრდილოეთი (დ-ე ღერძებში +9.25 - +54.75 ნიშნულამდე)	30.48	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		22%	
ჩრდილოეთი (ეად ღერძებში, შემოჭრილი საკადასტრო კონტურის შემდეგ. −0.00 - +6.00 ნიშნულამდე)	2.29	1	2	25%	25%	10%		0%	

ჩრდილოეთი (ცენ ღერძებში, შეზღუდული საკადასტრო კონტურის შემდეგ +6.00 - +9.25 ნიშნულამდე)	2.29	1	2	25%	25%	10%		0%	
სამხრეთი (აე ღერძებში 16-სართულიანის მხარე +0.00 - +6.00 ნიშნულამდე)	11.34	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		30%	
სამხრეთი (ბე ღერძებში 16-სართულიანის მხარე +6.00 - +9.25 ნიშნულამდე)	11.34	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		21%	
სამხრეთი (ბ-დ ღერძებში +9.25 - +54.75 ნიშნულამდე)	11.34	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		17%	
სამხრეთი (ა-ბ ღერძებში +9.25 - +32.00)	36.24	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		9%	
სამხრეთი (ა-ბ ღერძებში + 6.00 - + 9.25 ნიშნულამდე)	36.24	0	2	შეუზღუდავი	შეუზღუდავი	შეუზღუდავი		0%	

ცხრილიN6

ხანძრის დაცვის სისტემებისადმი მოთხოვნები							
დატვირთულობები/სივრცეები დასახელება საშუალებები	ავტოსაშხეფი სისტემა	ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემები	სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმოჩენი სისტემები	სახანძრო მილდგარების სისტემები	კვამლის საკონტროლო სისტემები	საევარიო განგაშის სისტემები	გამოყენებული ხელის ცეცხლმაქრები
1. სახაწყობო ჯგუფი **სწ-2**	კი		კი		კი		
2. სავაჭრო ჯგუფი **სვ**	კი		კი		კი		
3. საცხოვრებელი ჯგუფი **სც-2**	კი		კი		კი		
4. დამხმარე ჯგუფი **დხ**	კი		კი		კი		
კიბის უჯრედი				კი			კი
ლიფტი							
დერეფანი	კი		კი		კი		

ცხრილი N7

წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა-საცხოვრებელი ჯგუფი ცხრილი 1602.1 მიხედვით										
სართულები	საცხოვრებელი ერთეულები	ფიქსირებული მოწყობილობები								
		უნიტაზი (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		ტუალეტის ხელსაბანები (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		აბაზანა/შხაპი (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		სამზმსახურეო ოთახი/ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)		ავტომატური სარეცხი მანქანის მისაერთებელი (ერთ საცხოვრებელ ერთეულზე)	
		ამოწურვის	ამოწურვის შეზღუდვით	ამოწურვის	ამოწურვის შეზღუდვით	ამოწურვის	ამოწურვის შეზღუდვით	ამოწურვის	ამოწურვის შეზღუდვით	ამოწურვის	ამოწურვის შეზღუდვით
მიწის დონის ქვედა სართული											
ძირე სართული	ბინა №5.	1	2	1	2	1	2	1	1	1	1
	ბინა №6.	1	2	1	2	1	2	1	1	1	1
	ბინა №7,4,3,2,1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
შესაწე სართული	ბინა №8,9,10,11 12,13,14,15,16	1	1	1	1	1	1	1	1	1	1

მეთხე სართული	ბინა №17,18,19, 20,21,22,23,24,25	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მეხუთე სართული	ბინა №26,27,28, 29,30,31,32,33,34	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მეექვსე სართული	ბინა №35,36,37, 38,39,40,41,42	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მეშვიდე სართული	ბინა №43,44,45, 46,47,48,49,50,51	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მერვე სართული	ბინა №52,53,54, 55,56,57,58,59,60	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მეცხრე სართული	ბინა №61,62,63, 64,65,66,67,68,69	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მეათე სართული	ბინა №70,71,72, 73,74	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მეთერთმეტე სართული	ბინა №75,76, 77,78,79	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მეთორმეტე სართული	ბინა №80,81,82, 83	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მეცამეტე სართული	ბინა №84,85, 86,87	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მეთოთხმეტე სართული	ბინა №88,89 90,91,92	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მეთხუთმეტე სართული	ბინა №93,94,95, 96,97	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
მეთექვსმეტე სართული	ბინა №98,99, 100,101,102	1	1	1	1	1	1	1	1	1	1

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“

აკრედიტაციის მოწმობა

GAC-IB-0117

ადასტურებს, რომ

შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ს

A-ტიპის ინსპექტირების ორგანო

მდებარე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #17ა

შეფასდა და აკმაყოფილებს ეროვნული სტანდარტის

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013-ის მოთხოვნებს

აკრედიტებულია შემდეგ სფეროში: 1. ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება; 2. ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ინსპექტირება; 3. ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა #2-ის მიხედვით); 4. ობიექტის ან მისი ნაწილის ტექნიკური მდგომარეობის, შესრულებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება; 5. ობიექტის სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა - ინსპექტირება; 6. სამშენებლო ობიექტის პროექტის (შენობების, ნაგებობების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, აეროდრომების, საავტომობილო გზების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) ან პროექტის ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება ინსპექტირება, მათ შორის: საინჟინრო გეოლოგიური კვლევა/დასკვნა, საინჟინრო ჰიდროლოგიური კვლევა/დასკვნა; კონსტრუქციული ნაწილი; საინჟინრო ქსელები (ელ. მომარაგების სისტემები, სუსტი დენების სისტემები) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; საინჟინრო ქსელები (ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა) და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები, აფეთქებასა და სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები; არქიტექტურული ნაწილი. (იხ. დანართი - „აკრედიტაციის სფერო“)

აკრედიტაციის ცენტრის
გენერალური დირექტორი

რეგისტრაციის თარიღი
21 ივლისი 2017 წ.

ძალაშია
17 დეკემბერი 2018 წ.

0186 თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42ა

დამკვეთი: სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“
დამამზადებელი: შპს „სოლეი“. სფს-ს რეგისტრაციის № 06-3938

GEORGIA

DIPLOMA AA № 0004837 ❋

WITH HONOURS

This is to certify that Mr / Ms Marine Bugashvili M.
in 1999 completed a full academic course of the Institute
of Architecture of the Georgian
Technical University
majoring in Architecture

By resolution of the State Examination Board, dated July
15, 1999 Mr / Ms Marine Bugashvili M. is
conferred the present DIPLOMA and the qualification of
Architect

Seal of Office

Rector
Chairman of the State Examination Board
Dean

City Tbilisi 22.09.1999

Registration № 1800 Secretary

საქართველო

დიპლომი AA № 0004837 ❋

წარჩინებით

მიეცა მარინე ბუგაშვილს ...
მასზედ, რომ მან 1999 წელს დაამთავრა საქართველოს ...
... სრული კურსი
... სპეციალობით.
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1999 წლის „15" ივლისის
გადაწყვეტილებით მას მიენიჭა
... კვალიფიკაცია.

რექტორი
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
დეკანი

ქალაქი თბილისი 22.09.1999წ.

სარეგისტრაციო № 1800 მდივანი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

DIPLOMA

with honours

STU № 004559

This is to certify that Mr./Mrs. *Marine Dugashvili* in *the year 2002* completed a full Master's course of the *Georgian Technical University* majoring in *Urbanization*

By resolution of the State Examination Board, dated *February 28, 2002 Mrs. Marina Dugashvili* is conferred the degree of Master of *Architecture*

Seal

Rector ...

Chairman of the State Examination Board ...

Dean ...

City *Tbilisi* *March 28, 2002*

Registration № *0526* Secretary ...

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დიპლომი

წარჩინებით

სტუ № 004559

მიეცა *მარინე მიხეილის ასულ დუღაშვილს* მასზედ, რომ მან *2002* წელს დაამთავრა *საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის* მაგისტრატურის სრული კურსი, სპეციალობით *ურბანისტიკა*

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *2002* წლის *28. 02* გადაწყვეტილებით *მარინე მიხეილის ასულ დუღაშვილს* მიენიჭა *არქიტექტურის* მაგისტრის ხარისხი

რექტორი ...

ბ.ა.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ...

დეკანი ...

ქალაქი *თბილისი* *28. 03. 2002წ.*

სარეგისტრაციო № *0526* მდივანი ...